საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-506

17/06/2020

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 220 კვ ძაბვის ქ/ს „გლდანი 220“-ს და ქ/ს „ქსანი 500“-ს შორის არსებული ეგხ „არაგვის“ გაორჯაჭვიანებასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 220 კვ ძაბვის ქ/ს „გლდანი 220“-ს და ქ/ს „ქსანი 500“-ს შორის არსებული ეგხ „არაგვის“ გაორჯაჭვიანებასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №53 (10.06.2020);
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №53 (10.06.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის და თბილისის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი